ხელშეკრულება 05-05/12

ქუთაისი 1 აგვისტო 2017 წელი

ერთის მხრივ სსიპ ქედის მუნიციპალიტეტის სოფელ უჩხითის საჯარო სკოლა დირექტორის გულნაზი ნინიძის სახით და მეორე მხრივ ,,შპს მკითხველი "(შემდგომში-მიმწოდებელი) წარმომადგენელი მისი დირექტორის გიორგი ხელაძის სახით , შესყიდვების შესახებ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის 1 პუნქტის ,,ს" პრიმა ქვეპუნქტის შესაბამისად ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

მუხლი 1. ტერმინთა განმარტება

1.1ხელშეკრულება-წინამდებარე შესყიდვების შესახებ ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ მასზე თანდართული ყველა დოკუმენტაციითურთ

1.2 შემსყიდველი- ორგანიზაცია რომელიც აწარმოებს შესყიდვას.

1.3 მიმწოდებელი-პირი რომელიც ახორციელებს საქონლის (წიგნები) მიწოდებას მოცემული ხელშეკრულების ფარგლებში

1.4 ხელშეკრულების ღირებულება- საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების სრული და ჯეროვანი შესრულებისათვის

1.5 დღე, კვირა, თვე - კალენდარული დღე, კვირა, თვე

1.6 ფორსმაჟორი - მოცემულ შემთხვევაში აუცდენელი დაუძლეველი ძალა,რომელიც დგება მხარეთა ნებისგან დამოუკიდებლად და ატარებს წინასწარ გაუთვალისწინებელ ხასიათს, კერძოდ მიწისძვრა, წყალდიდობა, ხანძარი, ომი, რევოლუცია, აჯანყება, იმპორტისა და ექსპორტის აკრძალვა,აგრეთვე სხვა გარემოება, რომელიც შეუძლებელს ხდის ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას ან იწვევს არათანაზომიერად დიდ ხარჯებს მათ შესასრულებლად.

მუხლი 2. ხელშეკრულების საგანი:

2.1 ხელშეკრულების საგანია CPV39298600 (გლობუსი) ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ანაზღაურების სანაცვლოდ.

მუხლი 3. ხელშეკრულების საგნის ღირებულება:

3.1 ხელშეკრულების საერთო ღირებულება შეადგენს 60,00 (სამოცი) ლარს და მოიცავს მომსახურეობასთან დაკავშირებულ ანაზღაურებას საქართველოს კანონით გათვალისწინებული ყველა სახის გადასახადისა და მოსაკრებლის ჩათვლით

მუხლი 4. მიღება-ჩაბარების აქტი და ანგარიშსწორება

4.1 შესრულებული სამუშაო ან მისი ნაწილი ჩაითვლება მიღებულად მიღება-ჩაბარების აქტის ან ანგარიშფაქტურის გამოწერი შემდეგ,შემსყიდველის მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტისა ან ანგარიშფაქტურის ხელმოწერაზე უფლებამოსილ პირს წარმოადგენს დაწესებულების ხელმძღვანელი.

4.2 მიღება-ჩაბარების აქტის ან/და ანგარიშფაქტურის ხელმოწერასთან ერთად მიმწოდებელი ვალდებულია წარმოუდგინოს შემსყიდველს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შესაბამისი საგადასახადო დოკუმენტაცია

4.3 მიმწოდებელთან ანგარიშსწორება ხდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით ეროვნულ ვალუტაში მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებაში მითითებულ საბანკო ანგარიშზე

4.4 ანგარიშსწორება განხორციელდება შესრულებული სამუშაოს შესახებ მიღება-ჩაბარების ან/და ანგარიშფაქტურის გაფორმებიდან 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში

მუხლი 5. მიმწოდებლის უფლებამოსილება

5.1 მიმწოდებელი უფლებამოსილია მოსთხოვოს შემსყიდველს შესრულებული სამუშაოს ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისცინებული პირობებისა და ვადების დაცვით

მუხლი 6 .პირგასამტეხლო

6.1 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში, მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების საერთო ღირებულების 0,1% ოდენობით, ხოლო ვალდებულების ნაწილის შეუსრულებლობის შემთხვევაში-ვალდებულების შეუსრულებელი ნაწილის 0,1% ოდენობით. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების ვადის გადაცილების შემთხვევაში, მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შეუსრულებელი ნაწილის 0,02% ოდენობით

6.2 იმ შემთხვევაში, თუ დაკისრებული პირგასამტეხლოს საერთო ოდენობა გადააჭარბებს ხელშეკრულების საერთო ღირებულების 3 (სამი) პროცენტს, შემსყიდველი უფლებამოსილია შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოსთხოვოს მიმწოდებელს ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისათვის გადასახდელი პირგასამტეხლოს ანაზღაურება

6.3 ხელშეკრულები ნაწილის შეუსრულებლობის შემთხვევაში შემსყიდველი უფლებამოსილია, უარი თქვას ხელშეკრულებაზე, თუ დარჩენილი ნაწილის შესრულებამ დაკარგა მისთვის ინტერესი

მუხლი 7. ფორსმაჟორი

7.1 მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია ფორსმაჟორით

7.2 თუ ერთერთი მხარე ფორსმაჟორის გამო ვერ ასრულებს ნაკისრ ვალდებულებას,იგი ვალდებულია დაუყოვნებლის, მაგრამ არაუგვიანეს მომდევნო კალენდარული დღისა,აცნობოს მეორე მხარეს მათი დადგომის ან/და დასრულების შესახებ,წინააღმდეგ შემთხვევაში არ განთავისუფლდება ნაკისრი ვალდებულებებისგან

7.3 მხარეთა პასუხისმგებლობა და ვალდებულებები განახლდება ფორსმაჟორის მოქმედების დასრულებისთანავე

მუხლი 8. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

8.1 ხელსეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების,დანამატის შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი გზით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე

8.2 ხელშეკრულების პირობების,მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილების შედეგად იზრდება ხელშეკრულების საერთო ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსიდველისათვის

8.3 ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად

8.4 ხელშეკრულება შეიძლება შეწყდეს:

ა) მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე

ბ) თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს

ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულებას

გ)თუ მიმწოდებლის მიმართ დაიწყება გაკოტრების საქმის წარმოება

დ) თუ ცნობილი გახდა,რომ მიმწოდებლის საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტაცია ყალბია

ე) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთვევებში

მუხლი 9. დავები, მათი გადაწყვეტის წესი და გამოსაყენებელი სამართალი

9.1 ხელშეკრულებიდან გამომდინარე ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმებით,შეთანხმების გადაუწყვეტლობის შემთხვევაში,დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად

9.2 ხელშეკრულება დადებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და მისი დებულებები განისაზღვრება საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით

მუხლი 10. შეტყობინება

10.1 ხელშეკრულებიდან გამომდინარე ნებისმიერი შეტყობინება უნდა გაიგზავნოს წერილის სახით ან ფაქსის/ელექტრონული ფოსტით ორიგინალის შემდგომი წარმოდგენით

10.2 შეტყობინება ძალაში შედის ადრესატის მიერ მიღების დღეს

მუხლი 11. გადასახადები და დაბეგვრა

11.1 საქართველოს კანონმდებლობის გათვალისწინებით გადასახადის გადახდის წყაროსთან დაკავება ევალება შემსყიდველს

მუხლი 12.ხელშეკრულების ენა

12.1 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე ორ ეგზემპლარად,ერთი ეგზემპლარი ინახება მიმწოდებელთან,ორი-შემსყიდველთან, იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების მეორე მხარე არის უცხო ქვეყნის წარმომადგენელი,მეორე ეგზემპლარი ითარგმნება მიმწოდებლისათვის მისაღებ ენაზე,განმარტებისას უპირატესობა ენიჭება ქართულ ენაზე შედგენილ ხელშეკრულებას

მუხლი13.ხელშეკრულების მოქმედების ვადა

13.1 ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2017 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით

მუხლი 14.სხვა პირობები

14.1 არც ერთ მხარეს არ აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე

14.2 მესამე პირთან მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით,თანხებით და რისკით

მხარეთა რეკვიზიტები

შემსყიდველი ორგანიზაციის მხრიდან:	მიმწოდებლის მხრიდა:
სსიპ ქედის მუნიციპალიტეტის სოფელ უჩხითის საჯარო სკოლა	შპს მკითხველი
ს/კ 246756274	ს/კ 429650362
	ლიბერთი ბანკი
	ა/ნ GE88LB0113114503520000
ქედის რ.ნ :სოფ უჩხითი	ქ.ქუთაისი:წერეთლის N4
ტელ: 577304031	ტელ: 0431 25 21 21

ხელმოწერა /გ.ნინიძე/ ხელმოწერა /გ. ხელაძე/

1	სასაქონლო ზედნადები #	ელ- 0321760215

2	03/08/2017

თარიღი (რიცხვი, თვე, წელი)

3	19:17:24

დრო (საათი, წუთი)

4	შპს მკითხველი	429650362

გამყიდველის (გამგზავნის) დასახელება,ან სახელი და გვარი — საიდენტიფიკაციო/პირადი ნომერი

5	სსიპ ქედის მუნიციპალიტეტის სოფელ უჩხითის საჯარო სკოლა	246756274

მყიდველის (მიმღების) დასახელება,ან სახელი და გვარი — საიდენტიფიკაციო / პირადი ნომერი

6	ოპერაციის შინაარსი	ტრანსპორტირებით

7	ქ.ქუთაისი: წერეთლის N4

ტრანსპორტირების დაწყების ადგილი (მისამართი)

8	ქედის რაიონი

ტრანსპორტირების დასრულების ადგილი (მისამართი)

9	საავტომობილო

ტრანსპორტირების სახე

10	BW602BW

სატრანსპორტო საშუალების სახელმწიფო ნომერი

X

მისაბმელი

11	სატრანსპორტო საშუალების მძღოლის პირადი ნომერი	17001027257 ხვიჩა ხელაძე

12	გამყიდველის(გამგზავნის)/მყიდველის(მიმღების) მიერ გაწეული ტრანსპორტირების ხარჯი	გამყიდველი - 0

თანხა ლარებში

სასაქონლო ზედნადების ცხრილი

#	საქონლის დასახელება	საქონლის კოდი	საქონლის ზომის ერთეული	საქონლის რაოდენობა	საქონლის ერთეულის ფასი*	საქონლის ფასი *
1	გლობუსი 32 PVC	00086	ცალი	1.0000	60.0000	60.0000

13	60 - სამოცი ლარი და ნული თეთრი

მიწოდებული საქონლის მთლიანი თანხა (ციფრებით და სიტყვიერად)

14	

გამყიდველი (გამგზავნი)/საქონლის ჩაბარებაზე უფლებამოსილი პირი (თანამდებობა, სახელი და გვარი)

15	

მყიდველი (მიმღები)/საქონლის მიღებაზე უფლებამოსილი პირი (თანამდებობა, სახელი და გვარი)

16	

ხელმოწერა

17	

ხელმოწერა

18	მიწოდებული საქონლის ჩაბარების		

თარიღი (რიცხვი, თვე, წელი) — დრო (საათი, წუთი)

19	ELTRONIC.GE INVOICE INVOICEID:76425

შენიშვნა: * დღგ-ს გადამხდელისათვის დღგ-ს ჩათვლით, აქციზის გადამხდელისათვის აქციზურ საქონელზე, დღგ-ს და აქციზის ჩათვლით

ამობეჭდვის თარიღი 22/01/2018, 15:31:04